პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 4 სექტემბერი, 1943 წ. № 186 (6811). ფასი 20 კაპ.

ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის წიგნი

ეპოქის უდიდესი დოკუმენტი, მძლავრი იდეური იარაღია ამხანაგ **სტალინის** შესანიშნავი წიგნი — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", რომელშიც შევიდა ბრძენი ბელადის ყველა გამოსვლა და ბრძანება სამამულო ომის პერიოდში მიმდინარე წლის ივნისამდე. თითოეული მათგანი წარმოადგენს ისტორიულ მიჯნას ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი საბჭოთა ხალხებს განუმტკიცებენ თავისი სამართლიანი საქმის საბოლოო გამარჯვების ღრმა რწმენას, აღაფრთოვანებენ გმირული შრომისა და ბრძოლისათვის, რაზმავენ მის ძალებს, აიარაღებენ მეცნიერული წინასწარხედვით, უშუქებენ ომისა და საერთაშორისო ვითარების ურთულეს საკითხებს და უჩვენებენ გამარჯვების სწორ გზას. ამიტომ არის, რომ ამხანაგ სტალინის წიგნი წარმოადგენს ფრონტისა და ზურგის მოქმედების დიად პროგრამას. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ადამიანები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, წითელი არმიის გენერლები, ოფიცრები და მებრძოლები მასში პოულობენ დაუღეველ ძალებს ახალი სასახელო საქმეებისათვის სამშობლოს სადიდებლად. საბჭოთა ადამიანები უდიდეს ინტერესსა და მონდომებას იჩენენ ამხანაგ სტალინის ამ შესანიშნავი წიგნისადმი, ისწრაფვიან ღრმად შეისწავლონ ეპოქის ეს გენიალური ქმნილება, ახალი დიდი შენაძენი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საგანძურში.

მთელი ჩვენი საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ყოველდღიური და ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს მშრომელთა მილიონებს ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლაში. ბევრი დამოუკიდებლად სწავლობს ამ შესანიშნავ ნაშრომს. დამოუკიდებლად შესწავლა—ეს ძირითადი მეთოდია. ამასთან ერთად, საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, ტრანსპორტზე მოწყობილია წრეები ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლისათვის. წრეები შექმნილია იმ ამხანაგებისათვის, რომლებმაც სურვილი გამოსთქვეს წრეში იმეცადინონ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ამ წრეს ხელმძღვანელობდნენ კვალიფიციური ამხანაგები, ხოლო მათთვის ყოველი მეცადინეობის წინ ტარდებოდეს სემინარი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ბიუროს სხდომებზე პერიოდულად უნდა მოისმინონ საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლა.

მარტო შტატის პროპაგანდისტების მუშაობა როდი კმარა. პარტორგანიზაციებმა საჭიროა უნარიანად გამოიყენონ აქტივი ამ საქმეში. ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად უნდა გამოვიდნენ პოლიტიკურ თემებზე მოხსენებებით.

დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ლექციების ციკლი, თეორიული საუბრები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები როგორც პარტკაბინეტებში, ისე ადგილებზე. პარტკაბინეტებს სერიოზული სამუშაო აქვთ. ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლისათვის აგიტაცია-პროპაგანდის ყველა მოქნილი ფორმა უნდა გამოიყენოთ. ლიტერატურის, სამამულო ომის გმირთა და წარსულის სახელოვან ადამიანთა სურათების გამოფენა პარტკაბინეტებში, მასობრივ ბიბლიოთეკებში, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებებში თვითმიზანი როდია. მას ხალხი უნდა ნახულობდეს, იგი პრაქტიკულად უნდა უწყობდეს ხელს პატრიოტიზმის გაზრდას.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის X პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის მიმდინარეობის შესახებ. ბელადის წიგნის ღრმად შესწავლისათვის თბილისის პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად მუშაობს. წრეები ძირითადად უზრუნველყოფილია კვალიფიციური პროპაგანდისტებით, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს კი დახმარება ეწევათ ლექციებითა და კონსულტაციებით. № 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიურომ (მდივანი ამხ. აფაქიძე) დიფერენცირებულად ჩაატარა საუბრები კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიოების ჯგუფებთან. პარტორგანიზაციამ იქ მთელი რიგი ლექციები და კონსულტაციები მოაწყო დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისათვის, შეარჩია მათთვის სათანადო დამხმარე ლიტერატურა. სტატისტიკურ სამმართველოში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებმა უკვე დაამთავრეს პირველი თემის შესწავლა. კარგად იყო მოწყობილი თეორიული საუბარი, რომელზეც ამხანაგები კონსპექტებით, სქემებით, დამხმარე ლიტერატურით მოვიდნენ და საუბარში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად, საფუძვლიანად შესწავლის მოწყობისათვის აგრეთვე დიდი მუშაობა ჩაატარეს მაუდის ფაბრიკის, თბილისის დეპოს, და სხვა პირველადმა პარტორგანიზაციებმა. ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლის ამოცანა როგორც წრეებში, ისე დამოუკიდებლად, ბევრ რამეს მოითხოვს აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისაგან. მათ პირველ ყოვლისა თვითონვე საფუძვლიანად და ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ ეს უდიდესი დოკუმენტი, შემდეგ კი ოსტატურად ასწავლონ სხვას, მობილიზაცია უყონ მასებს ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ზოგან ადგილი ჰქონდა წრეების რაოდენობით გატაცებას. წრეები ეწყობა მაშინ, როცა ადგილზე არის კვალიფიციური პროპაგანდისტი და არიან წრეში მეცადინეობის მსურველები. მაგრამ ქარხანაში, სადაც პარტორგანიზაციის მდივნად არის ამხ. ბიჩკოვი, საგალანტერეო ფაბრიკაში, № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკაში და სხვ. ეს დაივიწყეს. როდი კმარა „წრის შექმნა". ეს ადვილი საქმეა. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მათი ნაყოფიერი მუშაობა, მათი ეფექტიურობა.

ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლაში სერიოზულ როლს ასრულებენ გაზეთები, ძირეული პრესა, საგიტაციო და საბრძოლო ფურცლები. პარტორგანიზაციების ვალია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მათ, ხელი შეუწყონ მუშაობის გაუმჯობესებაში.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია, ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** მიერ აღზრდილი **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, სანიმუშოდ მოაწყობს ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლას და გამოასწორებს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც მხილებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის X პლენუმზე.

საბჭოთა ხალხი ღრმად და საფუძვლიანად სწავლობს ამხანაგ სტალინის შესანიშნავ წიგნს, იგი თავისი საყვარელი ბელადის ბრძნულ გამოსვლებსა და ბრძანებებში პოულობს ახალ ძალებს ვერაგ მტერზე—გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებზე სრული გამარჯვებისათვის. ახლა, როცა წითელი არმია ძლევამოსილად მიიწევს წინ, როცა მისი გმირული ბრძოლის შედეგად მშობლიურ ოჯახს კვლავ დაუბრუნდნენ მთელი რიგი განთავისუფლებული ქალაქები და სოფლები, ჩვენ კიდევ და კიდევ ყურადღებით ვსწავლობთ ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ წიგნს, რომელიც მძლავრად გვაიარაღებს ახალ ბრწყინვალე გამარჯვებათა მოსაპოვებლად ფრონტზე და ზურგში.

შეჯვარა დონბასში

ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ქალაქები—სნეფნოე, კრასნიე ლუჩი და სადგური შტეროვკა. ეს ძირითადი დონბასის სამრეწველო ცენტრებია; ეს მეშახტეები მხარეა, სადაც გერმანელები ორი წელიწადი ბატონობდნენ.

გერმანელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ამ უმდიდრეს სამრეწველო რაიონში გამაგრებულიყვნენ და, რადაც უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ იგი. მაგრამ ჩვენი ჯარების შეჩერება მათ ვერ მოახერხეს. ახლა გერმანელები სასწრაფოდ იხევენ დასავლეთისაკენ. ჩვენი ჯარები შედიან მეშახტეთა ქალაქებსა და დაბებში, რომლებსაც გერმანელების საშინელ ბოროტმოქმედებათა კვალი აჩნევია. წასვლის წინ ჰიტლერელები შახტებს აფეთქებენ, შენობებს სწვავენ, ქარხნებს ანგრევენ, მოწყობილობას აფუქებენ. კრასნიე ლუჩში გერმანელებმა გაქცევის წინ მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი ხვრეტა მოაწყეს. № 151 შახტში ჰიტლერელი ბოროტმოქმედნი ცოცხლად ჰყრიდნენ ხალხს შიგნით. როგორც ჩვენმა სამხედრო წარმომადგენლებმა გამოარკვიეს, ამ შახტში გერმანელებმა 1.800-მდე ქალი, მოხუცი და ბავშვი წამეს და ჩამარხეს.

ქალაქ სნეფნოეში გერმანელი ბანდიტები ქალაქის დაცლის წინა ღამეს შახტებს ხერგავდნენ, აფეთქებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ქალაქის ქუჩებში რომ მიდიოდით, კიდევ იწვოდა სადგურის პაკჰაუზები, შახტების ბუნკერები, ქალაქის შენობები. აგერ მუშათა დაბის კორპუსები. ათობით სახლს ორ წყებად შემოვლებული აქვს მავთულლობური. აქ საკონცენტრაციო ბანაკი იყო. ჩვენ მეშახტეთა ბინები დავიარეთ. მათ ვეღარ იცნობ. ბინები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ მაღაროელებისათვის ააგო, სუფთა და ავეჯით კარგად მოწყობილი იყო. ამ ბინებში ადამიანს ცხოვრება უხაროდა. ახლა აქ სრული სიცარიელე და სიღატაკეა. ხალხი მონურ, ძმიმე, მომქანცველ ცხოვრებას ეწეოდა. ფაშისტები ყველას 16-18 საათს ამუშავებდნენ დიდით პატარამდე. იძულებითს სამუშაოში აბამდნენ ყოველ ბავშვს, 12 წლის ასაკიდან დაწყებული.

ჩვენი ჯარების კვალდაკვალ ყოველი მხრიდან, ხუტორებიდან, შორეული დაბებიდან თავს იყრიან მცხოვრებნი, რომელთაც თავიანთი ღატაკი ხარა-ხტარა მოაქვთ. ისინი გერმანელ ხელისუფლებს, მათ ჯანდარმერიას, გადასახადთა ინსპექტორებსა და გესტაპოს ჯაშუშებს ემალებოდნენ.

გერმანელები სნეფნოედან წასვლას არ აპირებდნენ. ფაშისტური უბადრუკი გაზეთის სტამბაში ჩვენ აღმოვაჩინეთ მორიგი ნომრის ახალი ანაწყობი, რომელშიც მოთავსებული იყო გერმანიის სარდლობის სიცრუით სავსე ცნობა. იქვე ეწყო სასურსათო ბარათების ბლანკები წლის დამლევამდე და მომავალი წლისათვის: 200 გრამი პური შახტში მომუშავისათვის. მაგრამ ამ საშიმშილო ნორმის მიღებასაც კი ყველა მისი მქონე ვერ ახერხებდა.

ქალაქის ქუჩებში მეშახტე ახალგაზრდობაა, რომელსაც გერმანელებმა ორი წლის სიცოცხლე წაართვეს. ქაბუკები, რომლებიც ომის დასაწყისში 15-16 წლისანი იყვნენ, უკვე დიდ ადამიანებად გადაიქცნენ. მათ ბევრი გადატანეს, მაგრამ დავაჟკაცდნენ და საზიზღარი მტრისადმი სიძულვილით არიან გამსჭვალულნი. ახალგაზრდა მეშახტეები თხოულობენ დაუყოვნებლივ ჩარიცხონ ისინი წითელ არმიაში მოხალისეებად.

მ. ფური

(„პრავდა", 3 სექტემბერი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. ს. ი. ქავთარაძე დანიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

3 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები დონბასში წარმატებით განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 15-დან 20-მდე კილომეტრით და დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი პროლეტარსკი, ქალაქი ვერხნეე, ქალაქი პოკასნაია, ქალაქი პერვომაისკი, ქალაქი ირმინო, ქალაქი კადიევკა, ქალაქი პარიზსკაია კომუნა, ქალაქი ზუგრესი, დიდი დასახლებული პუნქტები — კალინოვო, კრივოროქვინე, ბრიანსკი, ლოზოვო-პავლოვკა, ალექსეევო-ოტრლოვკა და რკინიგზის დიდი სადგურები ლოსკუტოვკა, ნირკოვო, კამენუვახა, მანუილოვკა, ჩერნუხინო, რასპინაია, სერდიტაია, ზუევკა.

კონოტოპის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევის წარმატებით განვითარებას გაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 15-დან 25-მდე კილომეტრით და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი შოსტკა, ქალაქი ვორონეჟ-გლუხოვი, ქალაქი პუტივლი, ქალაქი ბელოკოლიე, ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვოროჟბა, დიდი დასახლებული პუნქტები კლიმკი, ჩეკალეევკა, კრასნოკოლიე, ლენინსკოე, რეჩკი და რკინიგზის სადგურები სვესა, მაკოვო, ტერეშჩინსკაია, ალტინოვკა, ნოვო-ელენოვკა.

სმოლენსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 4-დან 6-მდე კილომეტრით და 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც ბრიანსკის სამხრეთით უტევენ, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 6-დან 10-მდე კილომეტრით და 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ხარკოვის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს სძლევდნენ და შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად.

2 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 107 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 45 თვითმფრინავი.

* * *

დონბასში ჩვენი ჯარები გაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. საბჭოთა ნაწილების დარტყმების შედეგად მოწინააღმდეგე უკან იხევს, გზებს ნაღმავს, ხერგავს, ხიდებს აფეთქებს. ჩვენი მებრძოლნი ყოველგვარ დაბრკოლებას სძლევენ, ფეხდაფეხ მისდევენ გერმანელებს და წინ წაიწიეს 20-მდე კილომეტრით. ჩვენმა ქვეითმა და სატანკო შენაერთებმა მძაფრი დარტყმებით დაიკავეს ქალაქები—პროლეტარსკი, ვერხნეე, პოპასნაია, პერვომაისკი, ირმინო, კადიეკა, პარიზსკაია კომუნა, ზუგრესი, მთელი რიგი დიდი დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში მოსპობილია მოწინააღმდეგის 4.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, გერმანელთა 54 ტანკი და 600-ზე მეტი ავტომანქანა. წამოყვანილია ტყვეები. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს დიდძალი საარტილერიო საჭურველი, საომარი მასალის, საინჟინრო ქონებისა და სურსათის ათობით საწყობი. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე ბევრი ორთქლმავალი და ასობით ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

კონოტოპის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან და წარმატებით მიიწევდნენ წინ. 6 შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური შოსტკა, ქალაქი ვორონეჟ-გლუხოვი და სუმის ოლქის ათობით სხვა დასახლებული პუნქტები. მარტო ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის აღებისას წამოღებულია 26 ქვემეხი, 15 ნაღმსატყორცნი და 80 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად. სხვა უბნებზე საბჭოთა ჯარები განადგურებულ მოწინააღმდეგს სდევნიდნენ და ქალაქი პუტივლი დაიკავეს. ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობდნენ, რამდენიმე ადგილს გადალახეს მდინარე სეიმი და ღამის განმავლობაში გაფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელთა დიდ ძალებთან, რომელნიც რკინიგზის მნიშვნელოვან კვანძ და ქალაქ ვოროჟბას იცავდნენ. საბჭოთა მებრძოლებმა მტერი მოჭანცეს, გათენებისას გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ და რამდენიმე მხრიდან შეიჭრნენ ქალაქში. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ქალაქი ვოროჟბა განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან. წამოღებულია დიდი ოდენობა ტყვე. ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში მთელი შემადგენლობით დაგენებდა ტყვედ გერმანელთა 184-ე ქვეითი პოლკის ასეული.

* * *

სმოლენსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. დოროგობუჟის დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილებმა გერმანელები განდევნეს ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან, ამასთან მოწინააღმდეგის 1.200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი წყალობა. წამოღებულია ბევრი სასროლი იარაღი და 2 საწყობი საომარი მასალა. ელნიას დასავლეთით მოწინააღმდეგემ თავისი დამარცხებული ნაწილები გადააჯგუფა, ტანკების დიდი ძალები მიაშველა და დღის განმავლობაში რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოიგერიეს და მძიმე ზარალი შეაყენეს მათ. არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში მოსპეს 3.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოწინააღმდეგის 25 ტანკი, 5 თვითმავალი და 41 საველე ქვემეხი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 14 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ბრიანსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ.

კომარიჩის დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა, მაგრამ საბჭოთა მებრძოლების დარტყმების შედეგად იძულებულია ზედიზედ დასტოვოს პოზიციები. ღღის განმავლობაში მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 3 ვარგისი ტანკი, 8 ქვემეხი, 3 საწყობი საომარი მასალა და ერთი საწყობი მარცვლეული.

სევსკის დასავლეთით გერმანელები ცდილობენ შეაჩერონ ჩვენი შემტევი ნაწილები და კონტრიერიშებზე გადმოჰყავთ ქვეითი ჯარი და ტანკები. საბჭოთა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის კონტრიერიშები მოიგერიეს და ერთ ბატალიონზე მეტი ჰიტლერელები გაჟლიტეს. დაზიანებული და დამწვარია 8 ტანკი, მოსპობილია 3 თვითმავალი ქვემეხი, 14 საველე ქვემეხი და 144 ავტომანქანა. ხელთ ვიგდეთ 13 ქვემეხი და საომარი მასალის საწყობი.

* * *

ჩვენი ჯარები ქალაქ სუმის დაკავების შემდეგ შეტევას განაგრძობდნენ და წინ წაიწიეს 10-დან 12-მდე კილომეტრით.

ხარკოვის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგის გაფთრებული კონტრიერიშები მოიგერიეს და პოზიციები გაიუმჯობესეს. სხვა უბნებზე ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 400-მდე ჰიტლერელი, დაზიანეს და დასწვეს მტრის 14 ტანკი, მათ შორის „ვეფხვის" ტიპის 10 მძიმე ტანკი.

ხარკოვის სამხრეთით 5 ნაწილის მებრძოლებმა 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. ერთი დასახლებული პუნქტისთვის ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწია ჩვენს მებრძოლებს კოლმეურნე ნიკოლოზ ნიკიტას-ძე გურენოვმა, როგორც კი წითელარმიელები პუნქტის გარეუბნებში შეიჭრნენ, გურენოვმა გერმანელი მეტყვიამფრქვევე მოჰკლა. შემდეგ მან ციცაბო ნაპირისაკენ წაიყვანა ტანკისტები, სადაც თავს იყრიდნენ მტრის ტანკები, თვითმავალი ქვემეხები და მეავტომატეები, რომელთაც განჩარახვა ჰქონდათ ფლანგიდან დაერტყათ ჩვენი ქვეგანაყოფებისათვის. ჩვენმა მებრძოლებმა მძაფრი კვეთებით დაანადგურეს გერმანელები და ხელთ იგდეს 3 თვითმავალი ქვემეხი. ამხ. გურენოვმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში, 5 ჰიტლერელი მოჰკლა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ბალტიის ზღვაში ჩასძირა მოწინააღმდეგის ორი ტრანსპორტი 13.000 ტონა საერთო წყალწყვილა.

* * *

კამენეც-პოდოლსკის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი ღამით დასახლებულ პუნქტში შეიპარა და ავტომატებითა და ხელის გრანატებით მოსპო 40 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ვოლინის ოლქში მოქმედმა სამმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი კვირის განმავლობაში გერმანელთა 14 სამხედრო ეშელონი აიფეთქა ნაღმებზე. დამტვრეულია 12 ორთქლმავალი და 90 ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

საბჭოთა კავშირში

განთავისუფლებულ ზაგანროგში

დიდი მწუხარება და ტანჯვა გადაიტანეს ტაგანროგის მცხოვრებლებმა. ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა სისხლისმღვრელ ტერორს მიმართეს. ქალაქში, სადაც გერმანელთა მოსვლამდე 200.000 მცხოვრები ითვლებოდა, 60 000-ზე მეტი აღარ დარჩენილა. გერმანელმა ავაზაკებმა დახვრიტეს 25.000-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე, დაახლოებით 40.000 კაცი გარეკილ იქნა გერმანიის კატორღაში, 10.000-ზე მეტი კაცი შიმშილით დაიღუპა.

გერმანელმა ფაშისტმა ბარბაროსებმა დასწვეს და აიფეთქეს ასობით საცხოვრებელი სახლი, სასწავლებელი და საწარმო. გაძარცულია ჩეხოვის მუზეუმი.

ახლა ტაგანროგში ცხოვრება აღორძინებას იწყებს. მუშაობას შეუდგნენ სკ. კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები. დღეს დილის ხუთი საათიდან ქუჩაში გამოვიდა ასობით ადამიანი. ქალაქი იწმინდება ნაყარ-ნუყარისა და ნაგვისაგან. ჭგლეჯენ გერმანულ განცხადებებსა და აბრებს. სწარმოებს ფოსტის, წყალსადენის, ელექტროსადგურის, კავშირგაბმულობის აღდგენა. მუშაობა დაიწყო პურსაცხობმა. ქალაქში მსახიობები მოვიდნენ. შესდგა პირველი ორი კონცერტი. გამოვიდა გაზეთ „ტაგანროგსკაია პრავდის" პირველი ნომერი. (საკდესი).

ჰიტლერელებმა ტაგანროგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაძარცვეს

ტაგანროგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ქალაქის სიამაყეს წარმოადგენდა. გერმანიის არმიის პროპაგანდის განყოფილების გამგე ლებერტი პირადად ხელმძღვანელობდა მუზეუმის უძვირფასესი ექსპონატების გატაცებასა და გერმანიაში გატანას. გესტაპოს შეფი ობერ-ლეიტენანტი კრაიზე თავის ძმაბიჭებს საჩუქრად ურიგებდა ავეჯს, ფაიფურის ნაკეთობას, უძველესი იარაღის ნიმუშებს. ერთ გესტაპოელს მან იშვიათი საიუველირო ნაგუშევარი—ორი ჩინური ბეჭედი აჩუქა. მუზეუმის მეცნიერ მუშაკი პროფესორი ვ. მ. ბაზილევიჩი გესტაპოელებმა დახვრიტეს იმისათვის, რომ მან სცადა დაეშალა მძარცველებისათვის ექსპონატები.

ჰიტლერელებმა გერმანიაში წაიღეს იშვიათი სურათები, მათ შორის—აივაზოვსკის „ქარიშხალი ზღვაზე", შიშკინის „ფიჭვნარი" და „არყისხის ჭალა", პეტრე პირველის უძველესი პორტრეტი, ბოგდანოვ-ბელსკის „მომაკვდავი გლეხი" და სხვა. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისსა და კანადის ჯარები სამხრეთ იტალიაში გადასხდნენ

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი გადმოგვცემს შემდეგ სპეციალურ კომუნიკეს: „მოკავშირეთა ჯარები გენერალ ეიზენჰაუერის სარდლობით წინსვლას განაგრძობენ. დღეს დილაადრიან მე-8 არმიის ინგლისელთა და კანადელთა ჯარებმა მოკავშირეთა საზღვაო და საჰაერო ძალების დახმარებით მესინის სრუტე გადალახეს და იტალიის ტერიტორიაზე გადასხდნენ".

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა მტრის აეროდრომებს და სხვა სამხედრო ობიექტებს საფრანგეთსა და ჰოლანდიაში. დაბომბვამ კარგი შედეგი მოიტანა.

იმავე დღეს, საღამოს, ინგლისის თვითმფრინავებმა დაანგრიეს სარაბო ჭიშკარი ჰანსვეერტის არხის (ჰოლანდია) სამხრეთ ნაწილში.

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საკდესი). ავიაციის სამინისტროს მოჰყავს ცნობები იმ ზარალის შესახებ, რაც მეომარ მხარეებს აგვისტოში მოუვიდათ. ღერძის სახელმწიფოებმა ამ თვეში ფრონტის ყველა უბანზე 698 თვითმფრინავი დაჰკარგეს, ხოლო ინგლისის ავიაციამ 610 მანქანა.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები იტალიაზე

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ჩრდილოეთ-დასავლეთ აფრიკის სამხედრო-საჰაერო ძალთა შემადგენლობაში შემავალმა თვითმფრინავებმა გუშინ დიდი თავდასხმები მოახდინეს მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში.

ბოლცანოში დანგრეულ იქნა რკინიგზის ხიდი, რომელზეც გადის ბრენერის უღელტეხილიდან მომავალი რკინიგზა. ტრენტოში, რომელიც აგრეთვე ბრენერის უღელტეხილიდან მომავალ გზაზე მდებარეობს, ბლოკირებულია რკინიგზა და დანგრეულია ხიდი. ბოლონიაში შემჩნეულია პირდაპირი მოხვეორებანი საქონლის სადგურსა და საწყობებში.

ავიაციის სხვა შენაერთებმა დიდი თავდასხმა მოახდინეს კანჩელოს საქონლის სადგურზე. შემჩნეულია მრავალი ხანძარი და აფეთქება.

დაბომბილ იქნა აგრეთვე რკინიგზის კომუნიკაციები და მტრის პოზიციები სამხრეთ იტალიის ბევრ პუნქტში. სანაპიროსთან მიტანილ იქნა ეირიში მტრის კარჭაპებზე.

მოკავშირეთა თვითმფრინავებმა ეირიში მიიტანეს სამხრეთ იტალიის აეროდრომებზე 1 სექტემბერს ღამითაც.

ყველა ამ ოპერაციების დროს მოსპობილ იქნა მოწინააღმდეგის 34 თვითმფრინავი. მოკავშირეთა ავიაციამ 15 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და medali „ოქროს ვარსკვლავი":

1. გვარდიის უფროს ლეიტენანტ სერგი სიმონის-ძე ბაბაროვს
2. კაპიტან ივანე თეოდორეს-ძე ბაბიროვს
3. უფროს ლეიტენანტ გრიგოლ ივანეს-ძე ბოგომაზოვს
4. მაიორ ალექსანდრე დმიტრის-ძე ბულატოვს
5. მაიორ ვიქტორ ნიკოლოზის-ძე ბუიანოვს
6. კაპიტან სიმონ ტროფიმეს-ძე ბიჩკოვს
7. გვარდიის მაიორ პეტრე ივანეს-ძე გავრილოვს
8. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ივანე მიხეილის-ძე გორბუნოვს
9. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ალექსანდრე ივანეს-ძე გორგალიუკს
10. გვარდიის მაიორ პეტრე ალექსანდრეს-ძე დრანკოს
11. კაპიტან ნიკოლოზ პანტელეის-ძე დუნაევს
12. უფროს ლეიტენანტ ალექსი როდიონის-ძე ზინჩენკოს
13. გვარდიის პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ პავლეს-ძე ივანოვს
14. გვარდიის ლეიტენანტ თეოდორე ზაქარიას-ძე კალუგინს
15. გვარდიის ლეიტენანტ ანმეტ-ხან ტალის-ძე კანკაშევს
16. ლეიტენანტ სტეფანე კალინას-ძე კოლესნიჩენკოს
17. მაიორ ალექსი ივანეს-ძე კოლცოვს
18. კაპიტან ივანე მიხეის-ძე კორნიენკოს
19. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ფილიპე მაკარის-ძე კოსოლაპოვს
20. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ალექსანდრე კირილეს-ძე ლაუხინს
21. კაპიტან სერგი დანიელის-ძე ლუგანსკის
22. გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ალექსანდრე ივანეს-ძე მაიოროვს
23. მაიორ ვასილ ათანასეს-ძე მერკულოვს
24. გვარდიის უფროს ლეიტენანტ გრიგოლ როდიონის-ძე პავლოვს
25. გვარდიის უმცროს ლეიტენანტს ბორის ვლადიმერის-ძე პანინს
26. მაიორ პავლე ანდრიას-ძე პოლოგოვს
27. გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ვიტალი კონსტანტინეს-ძე პოლიაკოვს
28. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ნიკოლოზ პ

მჯიღეულ დავიცვათ ჩაის ფოთლის კრეფა-დამუშავების წესები

თვალის ამხანაგნი ლანჩხუთის რაიონიდან

ლანჩხუთი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი გმირი წითელი არმიის გამარჯვებებით, ჩაის ძირითადი ფოთლის კრეფის ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. სოფ. მამათის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქეთო კილაძე დღეში ჰკრეფს 60-70 კილოგრამ ჩაის, გეგმის 400-500-მდე პროცენტს. ასეთივე წარმატებით მუშაობენ სოფ. ლესის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მარო სარჯველაძე და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეები. მამაცურად შრომობენ მოსწავლეებიც. სოფ. ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მეტრე კლასის მოსწავლე შუტუ რუსიძემ წელს არდადეგების დროს 200 შრომადღე გამოიმუშავა. ჩაის კრეფის დღიურ ნორმებს იგი ორნაგად, ხშირად კი სამმაგად და ოთხმაგადაც ასრულებს. ასეთები რაიონში ბევრია. მთელი რიგი კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს.

მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც არ იღებენ ყველა ზომას მთელი მუშახელის სრული დატვირთვით გამოყენებისა და დავალებათა დროულად შესრულებისათვის. შრომისუნის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში (ყოფ. თავმჯდომარე პ. ტუღუში) ახლა მეოთხე თოხნას უნდა ატარებდნენ, ფაქტიურად მეორე თოხნაც არ დაუმთავრებიათ. სოფ. არჩეულის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაშიც (ყოფ. თავმჯდომარე ი. მოისწრაფიშვილი) წელს უხარისხოდ და დაგვიანებით ჩაატარეს პლანტაციების მსუბუქი შებარვა, ხოლო მესამე თოხნა არც კი დაუწყიათ, მუშახელი მთლიანად არ გამოჰყავთ სამუშაოზე. 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე 143 შრომისუნარიანი წევრიდან მინიმუმი არ გამოუმუშავებია 48 წელს. კოლმეურნეობის გამგეობას არ მოუწყვია საბავშვო ბაგა.

ზოგან კრეფის წესები დაარღვიეს. სოფ. გულიანის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობაში მოჭკრიფეს და ხარისხიან ფოთოლში გაურიეს უხარისხო ფოთოლი და შტოებიც კი. მესამე ხარისხის ფოთოლში კი — ლაო ჩაი. ასევე დაარღვიეს აგროწესები შრომისუნის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. ნიგვზიანის ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი გერ. სულაბერიძე) ვერ უზრუნველყვეს მანქანების ნორმალური მუშაობა, ძრავების ხშირი გაჩერების გამო 20 ტონა ფოთოლი ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკას გადაამუშავებინეს, 3 ტონა ჩაი კი უყურადღებობის გამო გადაიწვა. ფაბრიკაში სუსტია შრომის დისციპლინა. მოუწესრიგებელია ელექტროდანადგარების მუშაობა. ინ. ვ. ჯიჯიეშვილის დაუდევრობით ერთი ძრავი ივლისში 12 დღეს გაჩერებული იყო. აგვისტოშიც ხშირია შეფერხება.

თვალის ახვევას ვხვდებით სუფსის ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი ი. მოისწრაფიშვილი, მთავარი ტექნოლოგი შ. სტურუა). ფაბრიკამ გადმოუზიდავობის გამო წყალწმინდის კოლმეურნეობაში გააფუჭა 0,5 ტონა ჩაის ფოთოლი, გულიანის კოლმეურნეობაში — 2,5 ტონა, სულ კი თავის ზონაში — 9 ტონამდე. ფაბრიკის ხელმძღვანელებმა ი. მოისწრაფიშვილმა და შ. სტურუამ მანქანების უფაქიო და სრული დატვირთვით მუშაობა ვერ უზრუნველყვეს და შრომისუნის, გულიანის, ხორეთის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს გამოუცხადეს — ახლა კრეფა შეანელეთ, ქვითრებს კი მოგცემთ, ვითომდაც ფოთოლი უკვე ჩაგიბარებიათ, რასაც შემდეგ თვეებში ჩაგებარებთო. ამგვარად, გაკეთებულია ქვითრები არარსებულ ანუ ჩაუბარებელ 38 ტონა ფოთოლზე. დადასტურდა, რომ გულიანისა და ნორმისუნის კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა უხარისხო ფოთლის კრეფას. ფაბრიკის ხელმძღვანელებმა დაუშვეს მეორე უკიდურესობა—ფოთოლს ხშირად არ აკუთვნებდნენ შესაფერ კონდიციას, პირველი ხარისხის ფოთოლს, ეიდგნენ მეორე ხარისხში, მეორეს—მესამეში, ხოლო მესამეს—იშვიათ შემთხვევაში. ამიტომ კოლმეურნეობებში იძულებული გახდნენ შეემცირებინათ მესამე ხარისხის ფოთლის კრეფა.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა მიიღონ გადაჭრილი ზომები არსებული მდგომარეობის გამოსწორებისა და დამნაშავეთა დასჯისათვის.

ტრ. თოდრაძე

სამხრეთ-ოსეთმა შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების გეგმები

სტალინირი. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა 31 აგვისტოსათვის 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის საგალდებულო ჩაბარებისა და წითელი არმიის პურის ფონდში მარცვლეულის შეტანის გეგმები, აგრეთვე მთლიანად გაისტუმრეს ნატურანაზღაურება ფაქტიურად დარიცხული ანგარიშების მიხედვით.

ფ. ზასეევი

მოსავლის აღება

(საქმიწასახკომის 1 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	თავთავიანი კულტურების აღება ჰექტრებით		გალეწილია თავთავიანები ჰექტრებით		თივის აღება ჰექტრებით	თამბაქოს შეტანა ჰექტრებით
აფხაზეთის ასსრ					27,4	27,8
აჭარის ასსრ					76,7	30,4
სამხრეთ-ოს. ა. ო.	80,4		68,2		87,5	
ცხაკაია					33,6	
ზუგდიდი					60,7	50,0
ხობი					12,5	
ძახარაძე					15,6	
ლანჩხუთი					32,8	
ჩოხატაური					1,5	11,5
ქუთაისი					101,3	
სამტრედია	100,0		100,0			
მაიაკოვსკი					116,0	
ჭიათურა	96,8		100.0		62,5	
საჩხერე	100,0		98,9		126,8	
ორჯონიკიძე	100,0		100,0		135,4	
ონი	87,0		67,8		87.0	
აბრამლაური	97,4		94,2		88,1	
ცაგერი	100.0		95.0		44.5	
ქვემო სვანეთი	95,8		74,5		77,6	
ახალქალაქი	78.6		9.4		111,9	
ბოგდანოვკა	30.2		15.1		108,9	
ახალციხე	94.2		56.3		72,0	
ადიგენი	94,3		79,2		104,5	

რაიონები	თავთავიანი კულტურების აღება ჰექტრებით		გალეწილია თავთავიანები ჰექტრებით		თივის აღება ჰექტრებით	თამბაქოს შეტანა ჰექტრებით
ასტინძა		85,1		34,6	111,2	
ბაშური		99,4		96,3	100,0	
ქარელი		99,4		97,3	101,7	
გორი		91,4		84,4	146.0	
კასპი		97,9		66,0	144,4	
ბორჯომი		40,7		74,5	85,9	
წალკა		29,7		10,9	106.8	
დუშეთი		90,1		61,9	63.6	
თეთრი წყაროო		91,3		50,9	102,7	
თიანეთი		88.9		15,4	106,0	
გურჯაანი		100,0		85.6	100,0	27,5
სიღნაღი		100,0		99,3	104,0	22,7
წითელწყაროო		100.0		68,9	100,0	
თელავი		98,8		67,2	182,8	
ყვარელი		100,0		100,0	114.2	16,6
ლაგოდეხი		100,0		77,7	100,0	68,9
თბილისი		97,7		51,4	110,3	
მცხეთა		100,0		68,0	71,1	
უარიანი		100,0		53,2	104,3	
ბორჩალო		100,0		82,7	104,6	36,4
ზოლნისი		100,0		70,4	141.2	21,8
საგარეჯო		97,6		70,7	100,3	
ბაზკიჩეთი		64,8		24,6	104,0	

ახალციხისა და თელავის რაიონების ცნობები 25 აგვისტოსია.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(ტრესტ „საქჩაის“ 1 სექტემბრის ცნობებით).

რაიონები	აგვისტოს გეგმის შესრულება ერგა თვეების დასაწყისის ნათვლით პროცენტებით	ნოემბრი გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	აგვისტოს გეგმის შესრულება ერგა თვეების დასაწყისის ნათვლით პროცენტებით	ნოემბრი გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	74,8	78,8	წულუკიძე	95,3	86,9
ქობულეთი	63,0	74,2	ქუთაისი	100,3	97,1
გალი	70,3	79,6	წყალტუბო	112,9	100,3
ოჩამჩირე	57,1	73,6	ტყიბული	80,1	89,7
გულრიფში	84,9	86,8	ცხაკაია	104.6	91,7
სოხუმი	50,0	80,0	აბაშა	105.7	91,7
გუდაუთი	136,7	100,2	გეგეჭკორი	60,8	77,9
მახარაძე	93,7	86,9	ზუგდიდი	76,8	82,5
ჩოხატაური	98,1	87,7	წალენჯიხა	99,2	90,3
ლანჩხუთი	68,8	79,4	ჩხოროწყუ	90,6	85,0
სამტრედია	97,9	93,4	ხობი	97,5	88,4

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ნატანებმა და ზრომის (მახარაძის რაიონი) და ნაბაკევის (გალის რაიონი) ჩაის ფაბრიკებიდან ცხრილში შეტანილია 25 აგვისტოს მაჩვენებლები.

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური მოხსენება კოლმეურნეობაში

გურჯაანი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 28 აგვისტოს, საღამოს ყანდაურის სასოფლო კლუბში თავი მოიყარა კოლმეურნეობა „ბლეხის მარჯვენის“ ორასზე მეტმა კოლმეურნემ, რომლებთანაც საბჭოთა კავშირის საშინაო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ამხ. ალ. თოდურიძემ. მოხსენება კოლმეურნეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და შემდეგ 13-ზე მეტი საქმიანი შეკითხვა მისცეს, რაზედაც ზუსტი და ამომწურავი პასუხი მიიღეს. შეკითხვები შეეხებოდა ჩვენი ქვეყნის საბჭოური ძალიერებას, საბჭოთა კავშირის ურთიერთობას იაპონიასთან და თურქეთთან, ჩვენი მოკავშირეების როლს და მათ საომარ მოქმედებას ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ, მეორე ფრონტის გახსნას და სხვ. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეები დარიკო არაქელოვა, ანო შენგელიძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერ. სულაბერიძე, ალ. ბერიკაშვილი, ალ. ბერიკაშვილი, ალ. ბერიკაშვილი